



**გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა**  
**საქართველოს სახელით**  
**სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ**

18.01. 2018 წელი

ქ. რუსთავი

**რუსთავის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია**  
**მოსამართლე - დიანა გოგატიშვილი**

**მოსარჩელე** შპს [REDACTED]  
**წარმომადგენელი** გურამ კონტუაძე

**მოპასუხე** [REDACTED]

**დავის საგანი** მიბარების საფასურის დაკისრება, მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურება

**მოთხოვნის არსი** სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება

**გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :**

2017 წლის 23 მარტს რუსთავის საქალაქო სასამართლოს სარჩელით მომართა შპს [REDACTED] წარმომადგენელმა გურამ კონტუაძემ მოპასუხე [REDACTED] მიმართ 2017 წლის 23 მარტს რუსთავის საქალაქო სასამართლოს სარჩელით მომართა შპს [REDACTED] წარმომადგენელმა გურამ კონტუაძემ მოპასუხე [REDACTED] მიმართ მიბარების საფასურის ანაზღაურების, მიუღებელი შემოსავლის დაკისრების და მიბარების საფასურის გადასახდევინებლად მიბარებული ავტომობილის რეალიზაციის მოთხოვნით.

- მოსარჩელე მოითხოვს მოპასუხეს დაეკისროს:
- 2017 წლის 6 თებერვლის მდგომარეობით არსებული დავალიანების 1 625 (ათას ექვსას ოცდათხუთმეტი) ლარის გადახდა.
  - ზიანის ასანაზღაურებლად შენახვის ხარჯის მიუღებელი შემოსავლის სახით დაკისრება, ხელშეკრულების შეწყვეტიდან, 2017 წლის 7 თებერვლიდან საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებამდე ყოველდღიურად 10 ლარის ოდენობით.

· მიბარების ხელშეკრულებიდან წარმოშობილი დავალიანებისა და ზიანის ანაზღაურების სრულად დაფარვის მიზნით - აღსრულება მიექცეს მოპასუხის კუთვნილ ავტომობილზე Lexus (ლექსუსი)

· იმ შემთხვევაში, თუ ავტოსატრანსპორტო საშუალების Lexus (ლექსუსი)

რეალიზაციით მიღებული თანხა სრულად არ დაფარავს მოსარჩელის წინაშე არსებული მიბარების ხელშეკრულებიდან წარმოშობილი დავალიანებას, აღსრულება მიექცეს მოპასუხის ნებისმიერ შემოსავალსა და ქონებაზე.

შპს წარმომადგენელმა გურამ კონტუაძემ 2018 წლის 15 იანვარს სასამართლოს მომართა შუამდგომლობით სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე და მოითხოვა ყადაღის დადება მოპასუხე ჯამიათ ახმედოვის საკუთრებაში არსებულ ავტომობილზე -

მოსარჩელე მიუთითებს, რომ მოპასუხეს არ გააჩნია სხვა ქონება საქართველოში, რადგან არის უცხოეთის კერძოდ აზერბაიჯანის მოქალაქე; მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის გაფორმებული მიბარების ხელშეკრულებისა და მიბარების ხელშეკრულების უზრუნველყოფის შესახებ შეთანხმებით გათვალისწინებულია, პირველადი მოთხოვნის დაკმაყოფილება, უზრუნველყოფის საშუალების რეალიზაციის გზით; მოპასუხეს შეუსრულებელი ვალდებულება სახეზეა, წელიწად ნახევარზე მეტი დროის განმავლობაში; მოპასუხის კუთვნილი ავტომობილი წარმოადგენს არარეგისტრირებულ ავტოსატრანსპორტო საშუალებას, რომლის განკარგვაც მის რეგისტრაციამდე შესაძლებელია (მათ შორის, გირავნობით დატვირთვა) სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება მოსარჩელეს (კრედიტორს) იმთავითვე შეუქმნის გადაწყვეტილების აღსრულების წინაპირობას.

2017 წლის 16 იანვრის განჩინებით მოსარჩელე შპს , სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებაზე ხარვეზის შესავსებად განესაზღვრა განჩინების ასლის ჩაბარებიდან 10 დღის ვადა და განემარტა, რომ რუსთავის საქალაქო სასამართლოში უნდა წარმოედგინა ცნობა შსს მომსახურების სააგენტოდან დასაყადაღებელ ავტომობილზე უფლებრივი მდგომარეობის შესახებ.

2017 წლის 17 იანვრს სასამართლოს განცხადებით მომართა შპს წარმომადგენელმა და განმარტა, რომ შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 31 იანვრის N150 ბრძანების თანახმად, სავალდებულო რეგისტაციას ექვემდებარება ის ავტოსატრანსპორტო საშუალებები, რომელიც შემოსულია საქართველოს ტერიტორიაზე და შესაბამისი ვადის გასვლის შემდეგ არ

განთავსდა საბაჟო-საწყობში/კონტროლის ზონაში. ავტომობილის საბაჟო დეკლარირების, განბაჟების შემდეგ დაიშვება საგზაო მოძრაობაში. შესაბამისად, ავტომობილის საბაჟო დეკლარირების შემდეგ არის შესაძლებელი ავტოსატრანსპორტო საშუალების რეგისტრაცია. დასაყადებელი ავტომობილი განთავსებულია საბაჟო კონტროლის ზონაში, იგი არ არის განბაჟებული და ამის გამო არ აღირიცხება მომსახურების სააგენტოში, ეს ავტომობილი არ არის საგზაო მოძრაობის მონაწილე.

**სასამართლოს მიაჩნია, რომ განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის თაობაზე უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ საფუძვლების გამო:**

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის მიხედვით, მოსარჩელეს შეუძლია, მიმართოს სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით, რომელშიც მითითებული უნდა იყოს გარემოებები, რომელთა გამოც სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოუყენებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას ან გამოიწვევს ისეთ ზიანს, რომელიც კომპენსირებული ვერ იქნება მოპასუხისათვის ზიანის ანაზღაურების დაკისრებით. აღნიშნული განცხადება უნდა შეიცავდეს ასევე დასაბუთებას, თუ სარჩელის უზრუნველყოფის რომელი ღონისძიების გამოყენება მიაჩნია მოსარჩელეს აუცილებლად. თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოუყენებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას ან გამოიწვევს ისეთ ზიანს, რომელიც კომპენსირებული ვერ იქნება მოპასუხისათვის ზიანის ანაზღაურების დაკისრებით, იგი გამოიტანს განჩინებას სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება ემყარება სასამართლოს ვარაუდს, რომ სარჩელი შეიძლება დაკმაყოფილდეს. ასეთი ვარაუდი გავლენას არ ახდენს სასამართლოს შემდგომი გადაწყვეტილების შინაარსზე.

დასახელებული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მიზანი არის გადაწყვეტილების აღსრულებისათვის მოსალოდნელი დაბრკოლების თავიდან აცილება, ხოლო ასეთი გარემოებები მითითებული უნდა იყოს განცხადებაში სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისას გადამწყვეტია დავის არსი, სასარჩელო მოთხოვნის შინაარსი და დავის ფაქტობრივი გარემოებები. სასამართლო მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოიყენებს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებას, თუ მას მოსარჩელის მიერ მითითებული გარემოებების შეფასების შედეგად გაუჩნდება დასაბუთებული ვარაუდი, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას.

განსახილველ საქმეში დავის საგანია ფულადი ვალდებულების დაკისრება, როგორც ფიქსირებული თანხით 1625 ლარი, ასევე მიუღებელი შემოაბლის სახით ყოველდღიურად 10 ლარის ოდენობით გადაწყვეტილების

აღსრულებამდე. მოსარჩელე ასევე მოითხოვს დაკისრებული თანხის გადახდევინების მიზნით აღსრულება მიექცეს ავტომობილზე Lexus (ლექსუსი)

რომელზეც მოსარჩელის განმარტებით როგორც მიბარებულ ქონებაზე, ვრცელდება მის გირავნობის უფლება მიბარების ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილი ფულადი ვალდებულების გადახდამდე.

ამდენად, განსახილველი სარჩელის დაკმაყოფილების შედეგად მოპასუხეს წარმოეშობა თანხის გადახდის ვალდებულება, რომლის ნებაყოფლობით შეუსრულებლობის შემთხვევაში გადაწყვეტილება აღსრულდება იძულებით - მიბარებული ავტომობილის რეალიზაციის გზით. "სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" საქართველოს კანონის 17-ე მუხლის მე-5 პუნქტის ა.ა) ქვეპუნქტის თანახმად, იძულებითი აღსრულების პირობებში აღმასრულებელი უფლებამოსილია განახორციელოს: გადახდევინება მოვალის ქონებიდან მასზე ყადაღის დადებით და ქონების გაყიდვით, ხოლო თუ საკითხი ეხება სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონებას, აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს.

ამდენად, გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით დასაშვებია მხოლოდ მოვალის ქონების რეალიზაცია. ამ შემთხვევაში სარჩელის მოთხოვნაა მიბარების ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილი კანონისმიერი გირავნობის უფლების საფუძველზე მიბარებული ნივთის რეალიზაცია.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 274-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, 1. გირავნობის საგნის გასხვისებისას შემძენზე გადადის გირავნობით დატვირთული საკუთრება, გარდა ამ მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ამ ნორმის მე-3 ნაწილის მიხედვით, მფლობელობითი გირავნობის დროს დამგირავებლის მიერ გირავნობის საგნის გასხვისების შემთხვევაში გირავნობის უფლება წყდება და შემძენზე გადადის დაუტვირთავი საკუთრება, თუ მოგირავნე ან მის მიერ შესაბამისად უფლებამოსილი პირი გირავნობის საგნის მფლობელობას გადასცემს შემძენს. მე-4 ნაწილის მიხედვით, დამგირავებლის მიერ გირავნობის საგნის ჩვეულებრივი სამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში გასხვისების შემთხვევაში შემძენზე გადადის დაუტვირთავი საკუთრება, მიუხედავად იმისა, იცოდა თუ არა შემძენმა გირავნობის შესახებ. ეს წესი არ გამოიყენება, თუ შემძენი და დამგირავებელი არაკეთილსინდისიერად მოქმედებდნენ.

ამდენად, ზოგადი წესის მიხედვით, გირავნობის საგნის გასხვისების შემთხვევაში შემძენზე გადადის გირავნობით დატვირთული საკუთრება, თუმცა ამ წესიდან გამონაკლისია მფლობელობითი გირავნობის შემთხვევა, რა დროსაც გირავნობის საგნის გასხვისების შემთხვევაში გირავნობის უფლება წყდება და შემძენზე გადადის დაუტვირთავი საკუთრება.

მიბარების ხელშეკრულების საფუძველზე წარმოიშობა მფლობელობითი

გირვანობა, რადგან მიმბარებლის გირვანობის უფლება ვრცელდება მის მფლობელობაში არსებულ მიმბარებულ ნივთზე, რის გამოც მიმბარებული ნივთის მესაკუთრის მიერ ნივთის გასხვისებით გირვანობის უფლება შეწყდება.

ამდენად, დავის არსიდან, სასარჩელო მოთხოვნის არსიდან გამომდინარეობს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების აუცილებლობა, რადგან მოპასუხის კუთვნილი ავტომობილის გასხვისება საფრთხეს შეუქმნის გადაწყვეტილების აღსრულებას.

საქმის მასლებით ირკვევა, რომ ავტოსატრანსპორტო საშუალება Lexus

არარეგისტრირებული საკუთრება.

ავტომობილი საქართველოს ტერიტორიაზე შემოყვანილია ჯამიათ ახმედოვის მიერ, თუმცა იგი განბაჟებული არ არის და განთავსებულია საბაჟო კონტროლის ზონაში მოსარჩელის მფლობელობაში.

"მექანიკური სატრანსპორტო საშუალებების სავალდებულო რეგისტრაციის წესების შესახებ" საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 31 იანვრის N 150 ბრძანების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ამ ინსტრუქციით დადგენილი გარემოების არსებობისას სავალდებულოა საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე დროებით შემოტანილ, ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ სატრანსპორტო საშუალებათა, მათი ნომრიანი აგრეგატებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების დამხმარე ტექნიკურ საშუალებათა დროებითი რეგისტრაცია. მა მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სარეგისტრაციო სამსახურებში რეგისტრაციასა და დროებით რეგისტრაციას არ ექვემდებარება: ა) საქართველოს ტერიტორიაზე 90 კალენდარულ დღეზე ნაკლები ვადით შემოტანილი, საერთაშორისო მოძრაობაში მყოფი მექანიკური სატრანსპორტო საშუალებები; ბ) ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული მექანიკური სატრანსპორტო საშუალებებისაგან განსხვავებული სატრანსპორტო საშუალებები; გ) სპორტული სატრანსპორტო საშუალებები; დ) სათადარიგო ნაწილებისაგან აწყობილი მექანიკური სატრანსპორტო საშუალებები (გარდა ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული გამონაკლისებისა); ე) ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული მექანიკური სატრანსპორტო საშუალებები, რომლებიც არ აკმაყოფილებენ კანონმდებლობით დადგენილ სტანდარტებს; ვ) გამოცალკავებული (მოხსნილი) ნომრიანი აგრეგატები, რომლებიც არ წარმოადგენენ მექანიკური სატრანსპორტო საშუალების შემადგენელ ნაწილს.

ამ ბრძანების საფუძველზე დროებით რეგისტრაციას ექვემდებარება საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე დროებით შემოტანილი სატრანსპორტო საშუალება გარდა საქართველოს ტერიტორიაზე 90 კალენდარულ დღეზე ნაკლები ვადით შემოტანილი, საერთაშორისო მოძრაობაში მყოფი მექანიკური სატრანსპორტო საშუალებებისა.



სასამართლოს მიაჩნია, რომ ვინაიდან არ არსებობს მოპასუხის რეგისტრირებული საკუთრება, შეუძლებელია ყადაღის გამოყენება ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე, თუმცა მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებების, სასარჩელო მოთხოვნის გათვალისწინებით არსებობს ავტოსატრანსპორტო საშუალების Lexus (ლექსუსი) [REDACTED]

[REDACTED] გასხვისების და საკუთრების უფლების რეგისტრაციის აკრძალვის აუცილებლობა.

სასამართლო აღნიშნავს, რომ სააღსრულებო წარმოებათა შესახებ საქართველოს კანონის მე-40 მუხლის თანახმად, მოძრავ ქონებაზე ყადაღის დადება ნიშნავს მოვალის ქონების აღწერას, მესაკუთრისათვის ქონების განკარგვის – ნებისმიერი ფორმით გასხვისების, დაგირავების, მასზე ქირავნობისა და იჯარის ხელშეკრულებების დადების – აკრძალვის გამოცხადებას ან/და ქონების შესანახავად გადაცემას. აღმასრულებელი ყადაღადადებულ ნივთებს აღნუსხავს ქონების აღწერისა და დაყადაღების აქტში.

ქონების დაყადაღების მიზანია მესაკუთრისათვის ნებისმიერი ფორმით მისი გასხვისების უფლების აკრძალვა, არა მარტო საკუთრების უფლების გადაცემის აკრძალვა, არამედ ქონების გაქირავების და იჯარით გაცემის აკრძალვას. ასევე დაყადაღებული ნივთი გადაეცემა შესანახად, რათა მის მესაკუთრეს ჩამოერთვას ნივთით სარგებლობის შესაძლებლობა. დასაყადაღებული ავტომობილი იმყოფება მოსარჩელის მფლობელობაში, რის გამოც მისი გაქირავება ან იჯარით გაცემა მესაკუთრის მიერ შესაძლებელი არ არის, რის გამოც ყადაღის დადების - ანუ მოპასუხისათვის მისი განკარგვის ყველა შესაძლებლობის აკრზალვა სარჩელის უზრუნველყოფისათვის აუცილებელი არ არის.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, სარჩელის სასამართლო წარმოებაში მიღების შემდეგ მხარეთა შორის წამოჭრილი დავა არ შეიძლება განიხილოს რომელიმე სხვა სასამართლომ ან ორგანომ. ამასთანავე, მხარეებს არ ერთმევათ უფლება, გაყიდონ ან სხვა გზით გაასხვისონ დავის საგანი, ანდა დათმონ თავიანთი მოთხოვნა. ამდენად, მხარე კანონით შეზღუდული არ არის სასამართლოში დავის განხილვისას გაასხვისოს სადაო ქონება. ეს უფლება შეიძლება შეიზღუდოს სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობისას.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტის თანახმად სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების ერთერთ სახედ გათვალისწინებულია მოპასუხისათვის გარკვეული მოქმედების შესრულების აკრძალვა. სსსკ 198-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად კი, საკითხს იმის შესახებ, თუ სარჩელის უზრუნველყოფის რომელი ღონისძიება უნდა იქნეს გამოყენებული, წყვეტს სასამართლო განცხადების შესაბამისად.

სასამართლოს მიაჩნია, რომ განსახილველ სარჩელთან მიმართებაში გამართლებულია სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება და ავტოსატრანსპორტო საშუალების Lexus (ლექსუსი) [REDACTED]

**გასხვისების და საკუთრების უფლების რეგისტრაციის აკრძალვა,** რადგან დავის დასრულებამდე საკუთრების რეგისტრაციის, ქონების გასხვისების, შემთხვევაში შესაძლებელია საფრთხე შეექმნას მოსარჩელის სასარგებლოდ გადაწყვეტილების შესრულებას, რადგან დაკისრებული თანხის იძულებით გადახდევინების მიზნით ვერ განხორციელდება მოპასუხის კუთვნილი ქონების რეალიზაცია.

აღნიშნული გარემოებების გამო სასამართლოს მიაჩნია, რომ ავტოსატრანსპორტო საშუალების გასხვისების, მესამე პირებზე მფლობელობაში გადაცემის და საკუთრების უფლების რეგისტრაციის აკრძალვა აუცილებელია სარჩელის უზრუნველსაყოფად, რის გამოც განცხადება უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

**სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-8, 191-ე, 193-ე, 194-ე, 195-ე, 198-ე, 284-ე, 285-ე მუხლებით და**

**და ა დ გ ი ნ ა :**

1. შპს "მიკადო ჯორჯიას" შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. [REDACTED] აკრძალოს მის საკუთრებაში არსებული ავტოსატრანსპორტო საშუალების Lexus [REDACTED] გასხვისება და საკუთრების უფლების რეგისტრაცია.
3. განჩინება აღსრულდეს დაუყოვნებლივ;
4. განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს საჩივრით რუსთავის საქალაქო სასამართლოში მისი ასლის მხარეთათვის განჩინების ასლის ჩაბარებიდან 5 დღის ვადაში.

**მოსამართლე**

**დიანა გოგატიშვილი**